



## ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### დადგენილება №12

2017 წლის 29 ივნისი  
ქალაქი ახალციხე

**ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

#### **მუხლი 1.**

დამტკიცდეს, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ივლისის N18 დადგენილება (ვებ.გვ. [matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge). 190040000.35.138.016145 24..07.2014);

#### **მუხლი 3.**

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 01 ივლისიდან.

ახალციხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის  
დროებით შემსრულებელი

გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

#	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
	<b>საკრებულოს აპარატი</b>	
5.	I რანგი -საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1000
6.	III რანგი- პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	560
7.	III რანგი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	560
8.	III რანგი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	560
9.	III რანგი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	540
10.	III რანგი - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	540